საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №382
2022 წლის 21 ნოემბერი

ქ. თბილისი

„საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოების წესის, საბაჟო სანქციის აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიებებისა და მათი განხორციელების წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 27 აგვისტოს №254 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოების წესის, საბაჟო სანქციის აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიებებისა და მათი განხორციელების წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 27 აგვისტოს №254 ბრძანებით (ვებგვერდი, 27/08/2019, სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.017229) დამტკიცებული „საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოების წესის“ (დანართი №1) მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. საბაჟო გამშვები პუნქტის „ყაზბეგის“ მიმართულებით გადაადგილებასთან დაკავშირებული შეფერხებების გათვალისწინებით, რაც, საქართველოს საბაჟო კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, წარმოადგენს დაუძლეველ ძალას, ექსპორტის/ტრანზიტის პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებული საქონლით დატვირთული სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი, რომელიც ვერ უზრუნველყოფს საქონლისა და სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო გამშვებ პუნქტში „ყაზბეგში“ საბაჟო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში წარდგენას/გამოცხადებას, 2023 წლის 20 იანვრამდე თავისუფლდება აღნიშნული საქონლის წარდგენისა და სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალების გამოცხადების ვადის დარღვევისათვის საქართველოს საბაჟო კოდექსის 165-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2022 წლის 21 ნოემბრიდან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ლაშა ხუციშვილი**